განმარტებითი ბარათი

საქართველოს (საქართველოს მთავრობა) და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 2011 წლის 7 ოქტომბერს ხელმოწერილი „ფინანსური პროტოკოლი"-ს ცვლილების წერილი-შეთანხმებაზე

2011 წლის 7 ოქტომბერს საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს (საქართველოს მთავრობა) შორის ხელმოწერილ იქნა ფინანსური პროტოკოლი, რომელიც ითვალისწინებს მესტიის ხეობაში სათხილამურო საბაგიროების მოწყობას.

ფინანსური პროტოკოლის განხორციელების მიზნით 2011 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს (საქართველოს მთავრობის) სახელით მოქმედ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საფრანგეთის რესპუბლიკის სახელით მოქმედ ბანკ NATIXIS-ს შორის ხელმოწერილ იქნა სესხის და გრანტის ხელშეკრულება.

აღნიშნული სესხის და გრანტის ხელშეკრულებით ფრანგულმა მხარემ აიღო ვალდებულება საქართველოს გამოუყოს:

გრანტი - რომელიც არ აღემატება 700 000 ევროს და განკუთვნილია მესტიის ხეობის ტურისტული განვითარების ძირითადი გეგმის შემუშავებისა და საქართველოში ზამთრის სპორტის განვითარებისათვის;

შეღავათიან სესხი - არაუმეტეს 18 000 000 ევროს ოდენობით, რომელიც განკუთვნილია მესტიის ხეობის სათხილამურო საბაგირო აღჭურვილობის შესაძენად.

სესხის ფინანსური პირობებია:

სესხის ოდენობა: 18 მლნ ევრო;

ხანგრძლივობა: 20 წელი (მათ შორის შეღავათიანი პერიოდი 6 წელი)

საპროცენტო განაკვეთი: 1,1%.

პროექტის ფარგლებში უკვე დასრულდა ჰაწვალში 2 საჩოჩიალო საბაგიროს მიწოდება/ინსტალაცია და თეთნულდში მიმდინარებს 4 საბაგიროს მიწოდება/ინსტალაცია. ამ ეტაპისთვის აღნიშნული სესხის ფარგლებში ჩამორიცხულია დაახლოებით 15,3 მილიონი ევრო და გრანტის ფარგლებში 0,56 მილიონი ევრო.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 დეკემბრის #2352 განკარგულების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიმართა საფრანგეთის მთავრობას საქართველოს (საქართველოს მთავრობა) და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის „ფინანსური პროტოკოლი"-თ გასაზღვრული საფრანგეთის მიერ გამოყოფილი სესხის ან გრანტის ფარგლებში თანხების გამოთხოვის ვადის 2015 წლის 31 დეკემბრამდე გადაწევასთან დაკავშირებით.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 13 ივლისის #1523 განკარგულების და პრემიერ-მინისტრის #284 ბრძანების შესაბამისად, 2015 წლის 16 ივლისს ხელი მოეწერა საქართველოს (საქართველოს მთავრობა) და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 2011 წლის 7 ოქტომბერს ხელმოწერილი „ფინანსური პროტოკოლი"-ს ცვლილების წერილი-შეთანხმებას.

„ფინანსური პროტოკოლი"-ს ცვლილების წერილი-შეთანხმებას 2015 წლის 16 ივლისს საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ბატონ ნოდარ ხადურმა და 2015 წლის 2 ივლისს საფრანგეთის საელჩოს ეკონომიკურმა მრჩეველმა ბატონმა ჰარვი სარნელიმ.